


საპროლეტარული სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროლეტარულ რესპუბლიკურ სახელმწიფო ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ


4 ივნისი, 1989 წ. № 106 (10 025) ჯამბაჯი

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან



ეროვნული გიგანტობა

სპორტის ეროვნული სახეობები — ჩვენი სიამაყე



სპორტის ეროვნული სახეობებმა და ქართულმა ხალხურმა თამაშებმა საუკუნეები გამოიარა. ფაქტობრივად იგი წარმოადგენდა ფიზიკური აღზრდის ხალხური სისტემის შემადგენელ ნაწილს — რომლის მსგავსი (მხედველობაში გვაქვს სახეობებისა და თამაშების მრავალფეროვნება) იშვიათად თუ შეუქმნია ვინმეს ამქვეყნად.

სპორტის ეროვნული სახეობები და თამაშები მხოლოდ გასართობი რამ არ ვახლავთ და ეს არც არასოდეს ყოფილა მისი უმთავრესი დანიშნულება. დიან, ისინი იმდენადაა გასართობი, რამდენადაც აუცილებელი თავდაცვისათვის, სამხედრო ხელოვნებაში გაწაფვისათვის, საკუთარი ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის, რაინდული სულთ აღზრდისათვის...

ჩვენი ერი ფიზიკურად თავის გადარჩენას სპორტის ეროვნულ სახეობებსა და ხალხურ თამაშებსაც უმაღლესი ამის დავიწყება არ შეიძლება. ფიზიკური აღზრდის ხალხური საშუალებები ჩვენი ეროვნული საუნჯეა და მას მუდამ თვალსაჩინოვით უნდა ვუფრთხილდებოდეთ.

ამ დღეებში სენაკში მიმდინარეობს რესპუბლიკის პირველობა ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში. კარგია რომ საქართველოს სპორტსაქონლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში დიდ აკავშირებასა და სერთაშორიან ასპარეზობათა გვერდით სპორტის ეროვნულ სახეობებში შეჯიბრებების ჩატარებაცაა შეტანილი.

„ლელოს“ საკუთარმა კორესპონდენტმა ნუგზარ ქვანიამ სენაკიდან გვაცნობა ასპარეზობის პირველი დღის შედეგები: ისინი: სენაკი — ქუთაისი 14:0, ოზურგეთი — სამტრედია 2:5. ცხენბურთი: სენაკი — ქუთაისი 17:1; ოზურგეთი — სამტრედია 3:15.

გათუვალები ცალკე გუნდით

გათუვალი ტანმოვარჯიშები პირველად გამოვიდნენ ცალკე გუნდით გომელში გამართულ XIV ტრადიციულ საკავშირო ტურნირზე სპორტულ ტანვარჯიშში.

მეორე თანრიგისათვის პროგრამით მოასპარეზე ბიჭებს შორის გაიმარჯვა ბათუმის №1 საშუალო სკოლის მეხამე კლასის მოსწავლემ მირიან დევიძემ. მისი ოანქალაქელი გიორგი ნიკურაძე (მე-16 საშუალო სკოლის მეოთხეკლასელი) მესამე ადგილზე გავიდა. აღსანიშნავია, რომ ბათუმის გუნდია ყველა წევრი პირველ ათეულში მოხვდა. ეს, რა თქმა უნდა, მათი მწვერთვლების ნიშანს კოტიუხისა და ვალერი სილიცის, ქორეოგრაფ ქეთევან გოგიაშვილის წარმატებაცაა.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა მოსკოვისა და ლენინგრადის, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების 16 ქალაქის გუნდი.

ლევან ქავთარაძე,
„ლელოს“ კორ.

ეროვნული ვერტიკალი — ფინალში

5-5 **გამარჯვებული** — ფინალში! ამ პრინციპით ტარდება თბილისის პირველობა 64-ურდინ შაშვი. ფაქტობრივად ორ ქვეყნულში მონაწილეთა ნახევარი ანუ ყოველი მეორე მოაბოგებს ფინალური ასპარეზობის საგზურს.

უკვე გათამაშებულია 6 რაუნდები. პირველ ქვეყნულში 5,5 ქულთ ლ. კიკნაძე-ლაწინაურდა, მეორეში — ქულთაა მაქსიმუმით (6), ლიღერია ა. ბერუაშვილი.

ბუღააკუბსა და სპორტული ვერტიკალი

სპორტის ოსტატ ვიქტორ ბაქშია აღსაზრდელი — თბილისის 25-ე საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე, პირველობის გამარჯვებული მღებროვი (პროფკავშირები) ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა ჩოგბურთელია. მის მნიშვნელოვანი გამარჯვებები აქვს მოპოვებული თანატოლთა შორის სხვადასხვა ტურნირში.

ახლაც თბილისელი ჩოგბურთელი წარმატებით გამოვიდა უნგრეთში მისის ბოლოს ჩატარებულ ჭაბუკთა (15 წლამდე) ასპარეზობებში. პირველი ტურნირი ბუღააკუბში შედგა. მღებროვი აქ ერთეულთა თანრიგში მესამე ადგილზე


გავიდა, ხოლო წველითა შორის სვერდლოვსკელ იური მურზაგეთან ერთად მეორე იყო.

სეკვეფირვარში ეს წველი გამარჯვებული გამოვიდა. ხოლო ერთეულთა ბრძოლაში, რომელშიც უძლიერესი მურზაგევი იყო, მღებროვმა მეორე შედეგი აჩვენა.

ახლა მ. მღებროვი მიემგზავრება ბალტიისპირეთში (ბალნაგაში) საკუთარ შეჯიბრებაზე. იქედან იგი ესაზღვრება ჩავა საერაშორიან ტურნირზე, რასაც მოჰყვება საფრანგეთის ტრადიციული შეჯიბრება დესლონასთან (პოლონეთი), აკონკონიანი — რუდელ ობრეის (რუმინეთი).

კვარცხლავა — დამარცხების უკვლე

რკინიგზა ძიუდოსტა მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც უნგრეთის ქალაქ მიშკოლცში ჩატარდა, ბრინჯაოს მედალით მოიპოვა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მესამეკურსელმა, 22 წლის გელა ტყემალაძემ. დასაინანო მა დამარცხებამ პირველ წრეში მას გზა ვალაქიბა ობრის მიღ-



ღისაგან. დასაინანო, იმეტომ ვაშობთ, რომ ტყემალაძისა და ბუგურის (გარ) შეჯიბრება უშედეგოდ დამთავრდა და მხოლოდ მსაჯთა გადაწყვეტილებით მიეკუთვნა გერმანელ სპორტსმენს გამარჯვება.

სხვა მეტოქეებს კი ქართველი მოკიდევ აშკარა უპირატესობით მოერიდა, ოთხივე მათგანი წმინდად, გდებებით დამარცხდა, რაგორც უკვე ვთქვით, ბრინჯაოს მედალით დამსახურა. რკინიგზელთა მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორის მწვერთვლები არიან როლანდ ფუნაშვილი * და ბესიკ ქუთათელაძე (თბილისის რკინიგზის სპორტული სკოლა).

სურათი: გელა ტყემალაძე

სპორტი — ფინალში

პირველი (საბერძნეთი). მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატზე გამოვიდნენ ფინალისტიები. საბჭოთა სპორტსმენთაგან უმაღლესი წილდობისთვისაა ბრძოლის უფლება

და ერეგნელმა ისრაელ აკოპობიანმა (71 კგ). ჩვენი მოკრივეები ფინალში შეხვდებიან: არბაჩაივი — იანოშ ვარაიდის (უნგრეთი), სკრიბინი — სტიფან ტოდოროვს (ბულგარეთი), ცილი — დანიელ დუმიტრესკუს (რუმინეთი), რუჟნიკოვი — დარიუშ შერნის (პოლონეთი), აკონკონიანი — რუდელ ობრეის (რუმინეთი).

პრობლემატიკა ყველა გუნდს აქვს

გაზეთ „პრადეს“ პრიზის წლევანდელი გათამაშება მძლეონობაში, როგორც იცით, თბილისში უნდა გამართულიყო მაისის ბოლო რიცხვებში, მაგრამ ერთი თვით ადრე ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ შეჯიბრება სოჭში ჩატარებინათ.

ეს ტურნირი პირად-გუნდური პირველობაა, ოღონდ გუნდური შეჯიბრება დებულების მიზეზით თვითდნევე იყო განწირული, რათა მას მნიშვნელოვნად შეერყოდა ემოციური საფუძველი. საქმე იაია, რომ სოჭის ცენტრალურ სტადიონზე რსფსრ-ის (ორი კოლექტივი), უკრაინის, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდების გარდა, ერთ ნაკრებად გამოიღონენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა და ბელორუსის სპორტსმენები, ცალკე — ამიერკავკასიისა და მოლდავი-

თის და ცალკე — შუა აზიის რესპუბლიკების წარმომადგენლები. ასე, სახელდახელოდ (წინასწარი ეტაპების — რესპუბლიკების გუნდების შორის პირდაპირი შედეგების მიხედვით), შეიკრიბებულნი ნაკრებები ერთსულოვანი ვერტიკალში და სპორტულ აზარტს უფრო ცალკეული სპორტსმენების შედეგები იწვევდა.

ასეთი დებულების შედეგია, ცხადია, იმის სურვილია გამოიწვიოს, რომ ტურნირი სათაო შეჯიბრებას დამსგავსებოდა; რვა სპორტსმენი



სსრ კავშირის

თასზე

შედეგად ჩვენი ქვეყნის 1989-90 წლების საფეხბურთო თასის ოცდამეორედივიდენობის მატჩები. ლანჩხუთის „გურიას“ თავის მინორზე უნდა მიეღო ომსკის „ირტიში“. ომსკელებმა წინადადებით მიმართეს „გურიას“ ხელმძღვანელებს, მათს ქალაქში ჩასულიყვნენ სათამაშოდ და სამწავრო სპარტაზები „ირტიში“ იყისრებოდა. ლანჩხუთელებმა, რა თქმა უნდა, უარით უპასუხეს, ვინაიდან საკუთარ მინორზე თამაში ყოველი გუნდისთვის ხელსაყრელი და მიზანშეწონილია. „ირტიში“ ლანჩხუთში სათამაშოდ

არ ჩამოვიდა, რისთვისაც მას დამარცხება ჩაეთვალა. „გურია“ უშუალოდ გავიდა მეფექსმეტრედფინალში. თასის განვლილ ეტაპზე, როგორც ცნობილია, გამოდინა I და II ლიგების გუნდები. რუსთაის „მეტალურგი“ კუბიშჩევში შეხვდა ადგილობრივ „კრილია სოვეტოსს“ და მარცხი განიცადა ანგარიშით 0:2. მეფექსმეტრედფინალის მატჩები გაიმართება 29 და 30 ივნისს. ამ ეტაპზე მონაწილეობას მიიღებენ უმეტესი ლიგის გუნდებიც.

ნაღიჯში, სადაც ადგილობრივ „სპარტაკს“ მასპინძლობდა ნოვოროსიისკის „ცემენტს“, მაყურებელმა მატჩი ჩაშალა. მილიციამ ვერ შეძლო წესრიგის აღდგენა. სტადიონს დისკვალიფიკაცია ელეს.

საფეხბურთო კავშირის თასზე

დახარულად სსრკ საფეხბურთო კავშირის თასის გათამაშება ქვეყნებში უმალესი ლიგის გუნდებს შორის. გამოვლინდა გათამაშების მეოთხედფინალის ყველა მონაწილე.

„ა“ ჯგუფში პირველ-მეორე ადგილებზე გავიდნენ დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ და ვოლკოვრადის „როტორი“. „ბ“ ჯგუფში — მოსკოვის „დინამო“ და მოსკოვის „ტორპედო“; „ც“ ჯგუფში — დონეცკის „შახტიორი“ და ოდესის „ჩერნომორეცი“, „დ“ ჯგუფში — მი-

ნსკის „დინამო“ და დუშანბეს „პამირი“.

მოგვყავს „დ“ ჯგუფის საბოლოო ცხრილი, სადაც თბილისის დინამოელები გამოდიოდნენ:

„დინამო“ შს.	6 5 1 0 14-5 11
„პამირი“	6 2 1 3 6-7 5
„უფლისისი“	6 2 0 4 9-11 4
„დინამო“ თბ.	6 2 0 4 2-8 4

თბილისის მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართება 3 და 4 სექტემბერს.



აზალი. ვიზიტი ბეიაგოვს ნიკიტა სიმონიანი

...მებრძვ ყველაზე დიდ სკოლად ჩვენთვის მამის მორალი გუნდების თამაში იყო. „დინამოს“ გუნდში, რომელშიც ჩვენი მწვრთნელი (შოთა ლომინაძე) თამაშობდა, მწვენიერი ოსტატები იყვნენ, მათგან ბერის კარგის გადაღება შეუძლებელია. ფართოდ გადებული თვალებით შევცნობრდი ავთანდილ ლომიანი, ძალიან მინდობდა გამეყოფებინა, გადავადო მისი იდეები — ფინტი, ცრუ მოძრაობები, დრინდინგო, გასხლეტა. აქ თამაშობდნენ აგრეთვე ანთაძე, მამბე ვარდიშაძე, ხანაია. ეს იყო გამორჩენილი ფეხბურთელითა თველი თაობა, რომლებმაც შემდეგომ თავი გამოიჩინა თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდში. ვფიქრობ, რომ ფეხბურთელი იურა ელჩიძესაც შეეძლო დაემყუდნებინა უმალესი ლიგის ნებისმიერი გუნდი, მაგრამ ბედის სხვაგვარად წარიმართა... მს ნაწყვეტი ამოვიღეთ ცნობილი საბჭოთა ფეხბურთელის, მოსკოვის „სპარტაკისა“ და „კრილია სოვეტოსის“ ყოფილი ცენტრალური თავდაპირველი, მეტაფორის ოლიმპიური ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ნიკიტა სიმონიანის ახლანდელ გამოსული წიგნიდან „ფეხბურთი — თამაში მხოლოდ?“ (ლიტერატურული ნაწარმოები თამარა ალექსანდროვაძის, რომელიც გამომცემლობა „მოდერნიზმი“ გამოსცემს) გამოუშვა 100 ათასი ტირაჟით.

ნიკიტის სწორედ ბიჭუნას მიმართის (ასე უწოდებდნენ პატარა ბიჭისს) სიმონიანს თავდაყრდენით უყვარდა ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი. ტოლმანაგებთან ერთად სწორად მკარნებდნენ ბავშვობის მეგობარ პაველ აკიბინაძეს.

ეზონი და გაუთავებელ საფეხბურთო ბატონებს აწყობდნენ — „ქუჩა-ქუჩაზე“, „რაიონი — რაიონზე“, მერე კი „საერთაშორისო“ ხასიათისადაც... გულრიფში, შესანიშნავმა მწვრთნელმა შოთა ლომინაძემ და მიხეილ თურქიამ საბოლოოდ ჩაუხერხეს ქაბუქს ფეხბურთისადმი სიყვარული. ახლა იგი უკვე საქართველოს პირველობაზე თამაშობდა ვლადიმერ მარლანისთან, გენადი ბონდარენკოსთან, ძმებ ფანოს და იური გრამატიკოპოლოვთან, ნიხა ძიგომიასთან, იური ვარდიშაძისთან, ვლადიმერ თარბასთან ერთად. ერთ მშვენიერ დღეს კი მწვრთნელმა ნიკიტა სიმონიანს „დინამოს“ მოზრდილითა გუნდში გამოიყვანეს დამაფრთხილებლად. „დინამო“ — ცენტრალური თავდაპირველის დინამიკის ნაცვალად.

1945 წელს სოხუმში ჩამოაუღმა მოსკოვის „კრილია სოვეტოსის“ გუნდმა სამი მატჩი ითამაშა ადგილობრივი ფეხბურთელებთან. სოხუმელებმა გაიმარჯვეს 3:1 და 1:0, ბოლო შეხვედრა კი ფრედ — 1:1 დაამთავრეს. დიხა, 5 ბურთი გაიბოლო შეიანიშნავი მეკარის პიოტრ არხაროვის კარში და ხუთივე ნიკიტამ გაიტანა. აჟღ მალე სიმონიანი მიიწვიეს „კრილია სოვეტოსში“, სამოდე წლის შემდეგ კი იგი უკვე მოსკოვის „სპარტაკში“ გადაიყვანეს.

ვის წინააღმდეგ არ უთამაშია ტყავის ბურთის ამ სახელოვან ოსტატს, ვის არ შეხვედრები ამ საინტერესო წიგნში: ვსევთოდ ბობროვს და პიოტრ დემენტიევს, სერგეი სალნიკოვს და იგორ ნეტოს, ნიკოლაი სტაროსტინს და ალექსანდრ პონომაროვს, მიხაილ იაკუშინს და გავრილ კაჩალინს, ბორის პაიჭაძეს და მიხაილ პორაეკს, კონსტანტინ ბესკოვს და ვალერი ლობანოვსკის, ატენლი მერტულს და მანოელ გარინჩას, ლევი კასილს და მარტინ მერქანოვს, მიხაილ იაშინს და კოტე მახარაძეს... წიგნიდან ნაწყვეტით დავიწყეთ თბილისი და ნაწყვეტითვე გვინდა დავასრულოთ:

— მერე?
— ვაჭობე... ვიდრე ნათია და ეკა ვარჯიშობდნენ (გუნდის სხვა წევრები შეკრებაზე არიან), იქვე, დრბაზში ტანვარჯიშულ სკამზე რამდენიმე

ფეხბურთი — ქალთა სიყვარული

ქალი კიდევ ახლა წარსულში ფეხბურთი მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცთა პრეროგატივა იყო, ამიტომაც ქალებს უკეთეს შემთხვევაში, მაყურებლებად და გულშემატკივრებად თუ შეეძლოთ სტადიონზე მოსვლა, ახლა მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა.

ქალები ფეხბურთს დღეს პრაქტიკულად უკვე მიუღწევი მსოფლიოში თამაშობენ. ვეროპაში ქალთა ფეხბურთს 20-მდე ქვეყანაში მისდევენ, უკვე მოეწყო კონტინენტის ჩემპიონატი, დიდი საერთაშორისო შეჯიბრებები, 1991 წელს ჩინეთში გაიმართება პირველი მსოფლიო ჩემპიონატი. ამიტომ, ცხადია, ქალთა ფეხბურთის ფართო გზა უნდა გაეხსნას ჩვენი ქვეყანაშიც, შესაბამისად ამისა, სსრ კავშირის სპორტსაზოგის კოლეგია დაადგინა ყველა პირობა შეიქმნას საბჭოთა კავშირში ქალთა ფეხბურთის განვითარებისთვის.

უნდა ითქვას, რომ ქალთა ფეხბურთის ერთ-ერთი უპირველესი ინიციატორი ჩვენში საქართველოა, უამრამდენიმე წელია გოგონები ფეხბურთს თამაშობენ, თბილისში, ფოთში, ქუთაისში და სხვაგან. თბილისში მოეწყო საინტერესო საერთაშორისო ტურნირი, სადაც მოიწვიეს შვეიცარიის ფეხბურთელ ქალთა ძლიერი გუნდი.

ქალთა ფეხბურთის მისდევნი მოსკოვში მანობლად მდებარე ქალაქ რამენსკოეში, უკრაინაში, მოლდავეთში.

მაგრამ ყველაფერი ეს ჯერჯერობით სამოყვარულო საწყისებზე ცალკეულ ერთუნიასტა ინიციატივით ვითარდება, საჭიროა კი ქალთა მულტიპლექტული საფეხბურთო სექციების შექმნა ფიზკულტურის კოლეგებთან, სპორტულ კლუბებთან, ქალაქად თუ სოფლად.

წლეულს ჩვენი ქვეყანაში მოეწყობა რეგიონალური ტურნირები,

განსად ჩატარდება მოსკოვირის სპორტსკოპის, მოსკოვის დეპარტამენტის საკუთრივ გუნდებთან დაკავშირებული ტურნირი, ამ შეჯიბრებებში მდებარეობს მოსკოვირის რეგიონალური ნაკრები, რომელიც რეგიონალურად იასპარეზებს საერთაშორისო ასპარეზზე. ჩვენი გუნდები ამ საფეხბურთო უცხოეთში, მოიწვივენ საზღვარგარეთულ გუნდებს, გათვლილია მსოფლიო მწვრთნელის სემინარების მოწყობა, ცნობილი უცხოელი კლუბებისა და სპეციალისტების მოწვივა, სასწავლო-სამეცნიერო შეჯიბრებები გამართვა და ა. შ.

საკავშირო სპორტსაზოგში განხილავს საქობს ქალთა ფეხბურთის საკავშირო სპორტულ კოორდინაციის შეტანის თაობაზე, რომელიც საკავშირო ცენტრალური კომიტეტის წინაშე დაისტავა საკითხი, რათა მოეწყოს ფეხბურთულ გოგონათა საკავშირო შეჯიბრება ტყავის ბურთის პრიზზე.

„ზიკო“, „მარადონა“ და სხვანი

— ზიკო, პასი!
— მარადონა, დაკიდე!
— უორა, კუთხეს უყურე... ასეთი „ხამალო“ ვარჯიში ჯერ არ მინახავს. მაგრამ — არც ასეთი, როგორ ვთქვა, ეზონი და თავდადებულნი იყვნენ. ისე ისტატურად, თანაც, როგორაც „განსხვავებულად“ ატარებენ ბურთს, ასრულებენ სხვადასხვა საფეხბურთო „პა“-ს, ალალია მათზე მოედან!

მიუხალოვდი. გამოვეცნაურებხედ-დამხედეს. ერთმა ბურთი დამიგრა. დავარტყი.

— 331... — ჩაიჭირქილეს.

— რა 331! ნახეთ, რა ჯაბახანები მჯავია! შენ კი, ქალბატონო, მარადონა, ხეირიანად ბურთიც ვერ გააჩერე! — გავგულისდი.

— ასეთი ბუცებით ამდენსაც რომ ვახერხებთ, არ გიკვირო? — ზიკომ ფეხი მოხარა და კარგად დაეინახე, ბუცი მალე „საქმელს“ მოსთხოვდა — პატრონს.

ზიკო ზინი ორჯონიკიძე, მარადონა — ირმა ქარდივა, უორა კირატომლაც ირინე შელდისვილს შეერქვეს — მწვენიერი გოგონა.

აქვე არიან მათი თანაგუნდელები — თბილისის მე-3 სამედიცინო სასწავლებლის ფეხბურთულ გოგონათა გუნდის „ივერიის“ სხვა წევრებიც: ირმა თითაიაური, მია ახყოლაძე, ფატი კვანტალიანი, ლეილა ლალიაშვილი, მაყვალა ამხოვა, ირმა მერაბიშვილი (კაპიტანი,

უორას“ უფროსი და), მარინე მოვსესიანი, ეკა შუშაბერიძე, ნანა გულბახიანი, ინგა სურმანიძე, მია ბესბაბულაძე, ეკა კაკაურიძე და მწვრთნელი ავრორ ტალახაძე.

გუნდი მეხუთე წელია, რაც ჩამოყალიბდა და უკვე გასაოცრად ბევრი რამ მოასწრო: გახდა რესპუბლიკის ჩემპიონი, წარმატებით ასპარეზობდა საერთაშორისო შეჯიბრებებში, მოსკოვის საგარეუბნო ქალაქ კაშირაში კი საკავშირო პირველობაშიც გაიმარჯვა.

— საშინელ პირობებში ვცხოვრობდით: სანებილსადგურს დახურული ჰქონდა ის შენობა, რომელიც მინცდამინც ჩვენ მიგვიჩინეს საცხოვრებლად. ბუხები გვქამდა. ხანდახან დღეში 2 მატჩს ვგათამაშებდნენ. ნახევარფინალისა და ფინალის დროს ხომ ტრინბუნხე გვეძინა — არ გვეუბნებოდნენ, როდის დიწყებოდა შეხვედრა. მაინც გავემარჯვეთ! — იხსენებენ გოგონები.

— ზაგორსკში რომ ვიყავით შეკრებაზე, ისეთი კვება გვქონდა, 5 კილო დავიკელი — უმატებს მაყვალა.

ამ გოგონებს სიციქემდე უყვართ ფეხბურთი, თორემ კაშირისა და ზაგორსკის რომ დავანებოთ თავი აქაც ისეთ პირობებში უხლებათ ვარჯიში, ეს წაღი სიყვარული და ქალის ბუნებაში ჩაბეჭდილი ოდი-



ნდელი ერთგულემა რომ არა, ალბათ, ნებისყვარა არ ეყოფოდით. სპორტმა გააყავი ისინი. არ წუწუნებენ. ოღონდ, ერთი თქვეს გულმწყვეტილად: რა იქნებოდა, ვსაც ჯერ არს, ამდენი გამარჯვების მერე, უბრალოდ, თბილად, გულბახანდ ჩამოერთვა ჩვენთვის ხელი, ან თითო-თითო მისხაი მინც ჩამოვარდებოდა... უხერხულად ვიგარძენი თავი მეც ხელტარელი ვახლდით.

გნეგავით... კისრულნი?

ბატონი ჩვეულებრივ საკვილო ხალიჩაზე გვარიანად ხეშეშია და მასზე მოწყვეტილი დაცემა ვერაფერი მივილი სიმოვნებაა. ამიტომაც ვეკითხები ნათია კანდელაკს — არ გტკივთ?

ილიებთა — არა.

— მისმინე, ეკა, — მიუბრუნდი მის მოწინააღმდეგეს, — როგორ ფიქრობ, ძიულო არ გავაუხეშებს, არ დაგაკარგვინებს სინაზეს?

— პირიქით, მოქნილობას, მოძრაობის ჰაეროვნებას გვეძინს.

— კიდევ?

— საკუთარი თავის რწმენას. ამას წინათ, კლასელი ბიჭი ვაღამეკიდა — გინდა თუ არა ხელი ვადავიწითო... — მერე?

— ვაჭობე... ვიდრე ნათია და ეკა ვარჯიშობდნენ (გუნდის სხვა წევრები შეკრებაზე არიან), იქვე, დრბაზში ტანვარჯიშულ სკამზე რამდენიმე



გოგონა იყო ჩამოძვარი და გაფაციცებით შეჰყურებდა მათ.

თამარ ქუბრაიშვილი 172-ე სკოლის VIII კლასში სწავლობს: „ძიულოზე მინდა ძიულოში ვარჯიში. მშობლები?.. დედამ იცის. მამისთვის კი ჯერ არ გამიხსენია, მაგრამ თავდაც ძიულო მოქიდავია და... იანა სახშანოვა: მამამ მირჩია, რად მინდა?... ცხოვრებაში გამოამდგება... —

გოგონებო, წამოიზრდებით, გველეხებით მეგობარი. აუცილებელი ხომ არაა, ისიც სპორტსმენი იყოს. მერე, როგორ გვინათ, გაუხარდება, როცა ეტოლინება, რომ გულისსწორს ნებისმიერ დროს შეუძლია კისრულით წამოიღოს?! — არ მიახსენეს. ოღონდ ეგ იყო თვალეში უსხდენ ეშმაკუნები... —

მასალები მამაშადა კლბე გარბანძიან.

გენადი ხანაიას ფოტოები.

XIII ტური, 10 035010. შაბათი. „საპოვენლა“ — „მზიური“, „სპარტაკი“ — „დინამო“ (გაგრა), „სიონი“ — „მადრეგანი“, „სამეგრელო“ — „ამირანი“, „მეტალურგი“ — „დინამო“ (ზუგდიდი), „სქურტი“ (წალენჯიხა) — პოლ. ინსტ. 11 ივნისი, კვირა. „მადაროლი“ — „სპოლორი“, „ბასტიონი“ — „არაგვი“, „ივერია“ — „დურუჯი“, „არმანი“ — ფიზკულტურის ინსტიტუტი.

XIV ტური, 17 035010. შაბათი. „დინამო“ (ზუგდიდი) — „მადაროლი“, „არაგვი“ — „ივერია“, „ამირანი“ — „მეტალურგი“, „სპოლორი“ — „სქურტი“. პოლ. ინსტ.

XV ტური, 24 035010. შაბათი. „სპარტაკი“ — „მზიური“, „სიონი“ — „საპოვენლა“, „სამეგრელო“ — „დინამო“ (გაგრა), „მადაროლი“ — „ამირანი“, „ივერია“ — პოლ. ინსტ. 25 ივნისი, კვირა. „სქურტი“ — „დინამო“ (ზუგდიდი), „ბასტიონი“ — „სპოლორი“, „მეტალურგი“ — „მადაროლი“, „არაგვი“ — „არაგვი“, „ივერია“ — „არაგვი“, „ივერია“ — „მეტალურგი“, „სპოლორი“ — „სქურტი“. პოლ. ინსტ.

XII ტური, 4 035010. კვირა. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური), „დინამო“ (ზუგდიდი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ), „არაგვი“ (დუშეთი) — „სქურტი“ (წალენჯიხა), „მადრეგანი“ (წყალტუბო) — „სპარტაკი“ (ეზნოვლი), „დინამო“ (გაგრა) — „საპოვენლა“ (თერჯოლა).

პრობლემატიკა ყველა გუნდს აქვს

(დასასრული)

სოკში მძღვოსანთა შედეგები სიკეთოდ, დაბალი იყო, რაც აღნიშნა კიდევ ქვეყნის ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ივანე ტყეშელაშვილმა. ამის მიზეზი ერთადერთი არ იქნება, მაგრამ ჩვენ მინც ერთ-ერთ სავარაუდოზე შევჩერდებით.

საკავშირო სპორტსახეობა ოფიციალურად განაცხადა, რომ ბრძოლას უცხადებს დობინგს. სოკის პრეზიდიუმმა, გარეგნულად მინც, ასეთი განწყობა სუფევდა: ამის გამო აკრძალული ტაბლეტებისა და ამბულანსების მოყვარულნი, ცხადია, მოუსვენრად გრძობდნენ თავს და მწვრთნელს თუ გაბედვლენ მათ გამაყენებდა. ამასთან კონტროლი ბრძოლა იყო, შეეძლოთ სადამინგო შემოწმებზე გამოეხატათ ბოლო აღვივებ გასული სპორტსმენიკი...

საქართველოში ბევრ მწვრთნელს მიუწვდომალ მიაჩნია ის დონე, რომელსაც მიაღწევს რსფსრ-ის, უკრაინის თუ სხვა ძლიერი გუნდების სპორტსმენებმა და, გვინებ, ოცნებებშიც კი ვერ შედეგს მითთან ვატოლებს. ასეთი „არასრულფასოვნების კომპლექსი“, ცხადია, აუღებელი ბარიერია მუშაობაში. არადა, სოკში აშკარად გამოჩნდა, რომ პრობლემები ყველა გუნდს აქვს და არც იან ცოტა. ისეთი ანაპრონული შედეგები, როგორც ჰქონდათ, ვთქვათ, ვაჟთა შორის გამარჯვებულს 1500 მეტრზე (3.51,38) ან 400 მეტრზე (46,74) ვარჯი ცხოვრებით არ არის გამოწვეული. ძალზე გახშირდა „ჩიბისა“ და წვრთნის ფორსირების ნიადაგზე აღმოცენებული მაღალი შედეგები, რომელთა ავტორები უდღეური პედაგოგები სულ მალე ქრებიან მძღვოსანთა შორის მითითებულად.

სულსწრაფობა დამლუპველია მძღვოსანებისათვის, ღილი შედეგი იღიწ შრომით მითითებდა. ოღონდ ასეთი შედეგი მყარია და გრძელვადიანი, ამასთან გამიზნული

მუშაობის გზადგება შექმნილი ცოდნა და გამოცდილება სხვა ვარჯი შედეგების მიღწევას ადვილდება. ვინც იცის, რამდენი მაღალი მიღწევა ვერ დაითვალეთ ჩვენი მწვრთნელისა თუ ბელადანელებების სულსწრაფობის გამო, მაგალითსაც მოვიყვან: ევროპის 1981 წლის თუნორთა ჩემპიონატზე საბჭოთაში გაიმარჯვა 19 წლის ჯერჯობა ახვლედიანმა შედეგით — 16,76 მ. საკმარისი იყო ამ პერსპექტიული სპორტსმენის დროებითი წარმატებლობა, რომ იგი სწრაფად „ჩამოეწვრა“. ამასწინათ გადათვალეთვე ევროპის თუნორთა შარშანდელი ჩემპიონატზე შედეგები და აღმოჩნდა, რომ სამხეტომში გამარჯვებულ სპორტსმენს ს. ახვლედიანზე უარესი შედეგი უჩვენებდა. არ დაგავწყდეთ, — 7 წლის შემდეგ, მეტი გულახმობა რომ გამოჩინათ სპეციალისტებს, ს. ახვლედიანი ალბათ არ მიატოვებდა სპორტს 22 წლის ასაკში. სხვათა შორის, ასეთი ბედი ემუქრებოდა თავის დროზე თვით ვიქტორ სანგვესაც, მაგრამ იბოლად საკუთრივ სპორტსმენის იშვიათმა მიზანდასახულობამ და თბილისელი ექიმის რ. სერგებრიანის ოსტატობამ „გადადვირჩინა“ საგზის ოლიმპიური ჩემპიონი.

ასეთი მოთმინება, ღილი მიზანდასახულობასთან შეწყვეტილი, მით უფროს გვიკრძალავს, რომ უკლები იცის: ჩვენს მძღვოსანობას ყველა და კარს იოლად არ უნდა შევივლით.

...სოკში მოსაპარეზე ჩვენი სპორტსმენებიდან ყველაზე ძლიერ ჩვეს მტყორცნელები შეადგენდნენ. ამ სახეობის მწვრთნელთა საბოლოო მუშაობა მუდამ გვაძლევდა ჩასათვლელ ქულებს ჩვენთვის მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე და ზოგჯერ ისეთ წარმატებებსაც გავწევდით როგორც იყო საიდა გუნდის გამოსვლა მოსკოვის ოლიმპიადზე. ერთადერთი მედალიც, რომელიც ასაპარეზობაზე მოიპოვეს ჩვენმა მძღვოსანებმა, ბირთვის

მკვერლ ტარიელ ბიწაძეს (მწვრთნელი თამაზ ჰელია) ვეუთვნის, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა. სოხუმელ სპორტსმენმა — ამ ნამდვილათელეს აშკარად პერსპექტიული მონაცემები აქვს, რომელიც, იმედობა, მალე გადაიზრდება უმაღლეს შედეგებში. იგი ახლაც ქვეყნის ნაკრების წევრად ითვლება და შარშან საერაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა. ტარიელი სულ შეიდი სმით ჩამორჩა შეჯიბრებში მეორე პრიზიორს ა. ბაგაჩის და 44 სმ-ით — ჩემპიონს ა. კოსტს.

კიდევ ერთი: ჩვენი მტყორცნელები ძირითადად უფრო „მინიატურული“ ჩანდნენ თავის ძირითად მეტოქეებთან შედარებით, რაც მტყორცნელებს მძღვოსანთა შერჩევის პრინციპებზე რეაქტობაში იღონდ ვეა, ჩვენები ახალგაზრდები არიან, რაც იმედს გვიწვევს. მუშისმტყორცნელი ამბროსი მატრიაშვილი (მწვრთნელი რეზო კობიაშვილი) მთელი სამი წლით იყო უმცროსი ასაპარეზობის სხვა ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეზე მაგრამ 18 წლის სპორტსმენი მინც არ დააბნია ამან (რაც ზნირად ერთობაზე გამოუცდელია) და ერთბაშად ორი მეტრით გააუმჯობესა პირადი შედეგი — რესპუბლიკის რეკორდი ახალგაზრდებს შორის — 73,66 მ. ახვენა. იგი ძალზე მოეწონა ქვეყნის იუნორთა ნაკრების მწვრთნელს, რომელმაც ქართველ სპორტსმენში კარგი პერსპექტივა დაინახა.

სხვა ჩვენს ახალგაზრდა მძღვოსანებს, უფრო მღვლავარების გამო, პირადი შედეგები არ გაუუმჯობესებიათ (ამის მოთხოვნა ყოველ რეჟიმში არასერიოზული იქნებოდა), მაგრამ მთავარი ის არის, მწვრთნელს სჯერათ თავიანთი მოწვევები. ჩვენი ჯერ სამოცდახუთი მეტრი „ავითვისეთ“ — გვითხრა ურთმტყორცნელი ოსებე შავერდიაშვილი. მწვრთნელმა ომარ ოლიშვილმა, — შემდეგ სამოცდათი, ახლა 75 მეტრის მყარად „თ-

ვისებაზე“ ვმუშაობთ, მეტი ოთხმოცი მეტრის ჯერაც დიდგება. უკან, ძველ შედეგებზე კი აღარ მოგბრუნდებთ... მართლაც კარგია, რთაც მწვრთნელს სჯერა თავიანთი მოწვევისა. ი. შავერდიაშვილმა 70,94 მ. ახვენა და მეტივე ადგილი დაიკავა. გაიმარჯვა ორჯის ოლიმპიურმა ჩემპიონმა იური სედიხმა — 77,62 მ. თბილისელმა სერგეი დევიატკინმა (მწვრთნელი სერგეი მურდოკი) ბადროს ტყორცვაში VIII ადგილი დაიკავა — 56,10 მ. იგი უთუოდ კარგ სამახურს გაუწევს ჩვენს გუნდს IV საქავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე.

ელვირა ურუსოვამ (მწვრთნელი ვასილ შმაკოვი) ბირთვის კვრავში (15,71 მ.) და მარინა გიგუაშვილმა (მწვრთნელი ილო გიგუაშვილი) შუბის ტყორცვაში (50,24 მ.) მე-6 ადგილები დაიკავეს. ნინო ონაშვილი (მამია ტულუაშვილი) მეტივე ბადროს მტყორცნელთა შორის — 51,48 მ. ვლადიმერ ბარდინი (ავთანდილ ბერიძე) მე-7 მივიდა თინიშთან 800 მეტრის დისტანციასზე — 1.51,47.

ბოლოა გვიწინა ორიოდ სიტყვა ვთქვათ „მეტივე ფენომენზე“ ჩვენს მძღვოსანობაში. ბოლო წლებში განმავლობაში საქართველოში მომზადდა 6 სპორტის ოსტატი 110 მეტრზე, თარგბენში, რაც ამ სახეობის მწვრთნელს აშკარად პატივს დებს. ლაპარაკი ნამდვილ ოსტატებზე და არა შემოღვამით, გვამის გამო „გამომცხვარ“ ამ წლებში მატარებლებზე. სოკში ასაპარეზობა ერთ-ერთი მათგანი თბილისელი ივანე ივანოვი (მწვრთნელი ანატოლი ანდრევი). ამ გარბენის მონაწილე რვა სპორტსმენიდან 6 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი იყო, 23 წლის ივანოვმა კი 3 მათგანს აჯობა და მეოთხე მივიდა თინიშთან. უკეთესი დაც ირბენდა, ცუდი სტარტი რომ არა, თინიშზე კი თითქმის დაეწია მონაწილეებს. ოღონდ, მთლიანად, გარბენი „სწრაფი“ არ გამოდდა, გამარჯვებულმა, ქვეყნის რეკორდს-

გენმა ვლადიმერ შიშინმა 13,80 ახვენა, ივანოვმა — 14,28.

...შარშან შეაჩვენა, რომ ქვეყნაში მტყორცნელების მძღვოსანთა წევრთაგანთა მითით. უცხოეთში სტრეტი ბუბკას გამოსვლა ათასობით აღმზიანს უყრის თავს სტალიონზე, ბილიეთი გვარაიანი თანხა ღირა. სოკში კი, რთაც ეს სახელობის სპორტსმენი ნტებოდა, სამასიოდე მაყურებელი შეიყარა, თუ მცა შესვლა უფასო იყო. ბუბკა უკვე ვეღარ მეფობს განუკითხავად ქოთი ნტომის სექტორში. სულ რამდენიმე დღამ წინ უცხოეთში გამართულ ტურნირზე მას ათა სანტიმეტრით აჯობა ტაშკენტელმა როდიონ ვატაულინმა (595 სმ ახვენა), რომელიც უკვე სერიოზულად ეცილება ბუბკას პირველ მტომის სახელს. ბუბკა სოკში საქმოდ შეფიქრანებული ჩამოვიდა და ეტყობა გადაწყვეტილი ჰქონდა დამარცხებია სიმწარე მსოფლიო რეკორდით გაექარებინა. იგი პირველივე ცილი გადავიდა 570 სმ-ს, შემდეგ 585 სმ-იც აიღო. ამ დროს ყველა მეტოქეს, მათ შორის მის მძას ასაპარეზობა უკვე მთავრებული ჰქონდა. შემდეგ მსოფლიო რეკორდამენმა ჯარნახული სიმალე, 610 სმ შეუქვეთა, ოღონდ აშკარად დასანახი იყო, რომ ამის იგი ამ მიმართის ასაღებად არ იყო მზად. მან ორი უნაყოფო ცილი შემდეგ მესამე აღარ გამოიყენა.

რაც არ უნდა იყოს, იგი უდიდეს პროფესიონალად რჩება; საბჭოთა სექტორში შეჯიბრებებზე 3 საათით ადრე მვიდა, დიხანს ზომა გარბენის სტრეტი, დანიშნა ბილიკი, მეტად ხანაგრძობი, ბევრით მოთელვა ჩაატარა. და ეს ხუთსაათიანი შრომა დასაჯა ოთხი ცილისთვის, რომელიც პულ ერთად ოციოდე წამი თუ გრძელდება.

აერტონ „მეჯიქ“ სენა

28 მაისს, „ბედრო და რიკარდო როდრიგესის“ სახელობის ტრასაზე გამართა „ფორმულა 1“ კლასის ავტომობილთა მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხე ეტაპი. ვაშა მავლა შექსაქის „გრან პრი“.

წინა დღით, 33-ე საკვალიფიკაციო რბოლა მოიგო აერტონ სენამ. მეორე შედეგი ჰქონდა ალენ პროსტს, მესამე — ნიკოლ მენსელს. გულშემატკვარებისთვის მოულოდნელი იყო ტრასაზე გერპარდ ბერგერის გამოჩენა. ყველა იცოდა, რომ მას ნიკოლა ლარინი შეცვლიდა, მაგრამ ბერგერი არა მარტო დაუბრუნდა თავის გუნდს, თუმცა ჯერ კიდევ მოუშუშებელი ტრავმებით, არამედ უფრო მეტიც, შეეჭვე შედეგი აჩვენა.

მექსიკაში 1970 წლიდან 1986 წლამდე რბოლა არ ჩატარებულა. 1969 წელს აქ იმარჯვა დენის პალმა (ახალი ზელანდია, „მაკლარენი“), 1970 წელს — ჯიკი იქსმა (ბელგია, „ბრეზემი“), 1986 წელს — გერპარდ ბერგერი (ავსტრია, „ბენეტონ ბე-ემ-გე“), 1987 წელს — ნიკოლ მენსელმა (ინგლისი, „უილიამს პონდა“) და 1988 წელს — ალენ პროსტმა (საფრანგეთი, „მაკლარენ-პონდა“). ფრანგმა ბილოტმა შარშან ტრასის რეკორდიც დაამყარა — 1 წუთი 18,608 წამი, საშუალო სიჩქარე — 202,467 კმ სთ. მოვლენებს წინ გაუუსწრებთ და მოახსენებთ, რომ წელს საუკეთესო დრო ნიკოლ მენსელმა აჩვენა — 1 წუთი 20,420 წამი, საშუალო სიჩქარე — 197,906 კმ სთ,

მაგრამ თავისი მეტოქის შარშანდელი შედეგი ვერ გააუმჯობესა. მექსიკაში რბოლა თავისი სპეციფიკა აქვს. როგორც იცით, მეხიკო ზღვის დონიდან მაღლა მდებარეობს, პერის სიმაღლე 25%-ით დაბალია და ავტომობილის ძრავამ რომ ჩვეულებრივი სიჩქარე განავითაროს, იგი მთელი სიმძლავრით მუშაობს. ამიტომაც ხშირია გადასვრება, მწყობრიდან გამოსვლა. სწორედ ამ მიზეზით გამოეთიშა ასაპარეზობას ნიკოლ მენსელი, რომელიც დიხანს ინარჩუნებდა მეორე ადგილს. კვლავ სიჩქარეების გადაცემით ავტომობილი კოლოფის დახანების გამო შეწყვეტა რბოლა გერპარდ ბერგერმა. არ გაუმართლა ალენ პროსტს, რომელსაც რამდენიმეჯერ მოუხდა საბურავების გამოცვლა, რის გამოც ბევრი დრო დაჟარდა და საპირიო სამეულში ვერ მობრუნდა.

სენა, რომელმაც ორჯერ მოუგო სტარტი თავის თანაგუნდელს, მთელი 69 წრის განმავლობაში ლიდერობდა. „მეჯიქ“ ე. ი. არაჩვეულებრივმა, ყოლისშემდეგ ბრანლიოლმა თავისი მე-17, ზედისედი კი მესამე, „გრან პრი“ მოიპოვა. მთელი დისტანცია მან გაიარა 1 საათში 35 წუთსა და 21,431 წამში. ახლა იგი რეიტინგით მეშვიდე ადგილზეა ნელსონ პიკეს შემდეგ. სენამ გაასწრო სახელგანთქმულ ინგლისელს, სტირლინგ მოსს, რომელსაც 16 ეტაპი აქვს მოკვებული. აი, ეტაპის საბოლოო შედეგები: 1. აერტონ სენა (ბრანლია, „მა-

კლარენ-პონდა“) — 9; 2. რიკარდო პატრეზე (იტალია „უილიამს რენო“) — 6; 3. მიქელე ბრეტი (იტალია, „ტარიელ-ფორდი“) — 4; 4. ალესანდრო ნანინი (იტალია, „ბენეტონ-ფორდი“) — 3. 5. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „მაკლარენ-პონდა“) — 2; 6. ვაბრიელ ტარკვინი (იტალია, „ა-ემ-ეს-ფორდი“) — 1 ქულა.

ოთხი ეტაპის შემდეგ პირად ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. აერტონ სენა — 27; 2. ალენ პროსტი — 20; 3. ნიკოლ მენსელი (ინგლისი, „ფერარი“) — 9; 4. ალესანდრო ნანინი — 8; 5. რიკარდო პატრეზე, მიქელი ალბორეტო — 6-6 ქულა; 7. დერეკ უორრევი (ინგლისი, „ფორდ“) — 5; 8. 9. მთურითო გუგელმინი (ბრანლია, „მარჩ-ჯაილი“), სტიფანი მოლენი (იტალია, „ბრეზემი-ჯაილი“) — (4-4 ქულა) 10-11. ჯონი ჰერბერტი (ინგლისი, „ბენეტონ-ფორდი“), ალექს კაფი (იტალია, „დალარა-ფორდი“) — 3-3 ქულა; 12-13. ჯონათან პალმერი (ინგლისი, „ტარიელ-ფორდი“), გაბრიელ ტარკვინი — 2-2 ქულა; 14. ბარტინ ბრანდლი (ინგლისი, „ბრეზემი-ჯაილი“) — 1 ქულა.

კონსტრუქტორთა პირველობაზე ასეთი მდგომარეობაა:

1. „მაკლარენ-პონდა“ — 47; 2. „ბენეტონ-ფორდი“ — 11; 3. „ფერარი“ — 9; 4. „ტარიელ-ფორდი“ — 8; 5. „უილიამს-რენო“ — 6; 6-7. „ეროუზ-ფორდი“, „ბრეზემი-ჯაილი“ — 5-5 ქულა; 8. „მარჩ-ჯაილი“ — 4; 9. „დალარა-ფორდი“ — 3; 10. „ა-ემ-ეს-ფორდი“ — 2 ქულა.

ძრავებში ლიდერობა „პონდა“ (47 ქულა). მეორე ადგილზეა „ფორდი“ (29), მესამე-მეოთხეზე — „ფერარი“, „ჯაილი“ — 9-9 ქულა, მეხუთეზე — „რენო“ (6 ქულა).

ჩემპიონატის მეხუთე ეტაპი გაიმართება ამერიკის შეერთებულ შტატებში, „ფენიქსის“ ტრასაზე, 4 ივნისს.

დავით რუხინიძე.

კალეიდოსკოპი

საკონტინენტთაშორისო თასი: „ატლანტიკო ნასიონალი“ — „მილანი“

სამხრეთამერიკული ფეხბურთის ყველაზე პრესტიჟული პრიზი „ლიბერტადორისის თასი მოიპოვა კოლუმბიელმა ფეხბურთელებმა თასის პირველი მატჩი სტუმრად ანაგრიშოთ 0:2 წააგინა პარაგვაის „ოლიმპიასთან“, შინ კი ზუსტად ასეთივე ანაგრიშოთ აიღეს რევენში, რის შემდეგ დანიშნა მატჩისშემდგომი დამატებითი 11-მეტრიანები. აქ წარმატება კოლუმბიელებს ხვდათ წილად — 5:4.

კოლუმბიის „ატლანტიკო ნასიონალი“ საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში შეხვდება ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელს იტალიის „მილანს“. ეს მატჩი 17 დეკემბერს შედგება ტოკიოში.

პრემიების ფონდის გაზრდით

ფრანგები უკმაყოფილონი არიან იმის გამო, რომ მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტული პრავალიანი ველორბოლა „ტურ დე ფრანსი“ ნელ-ნელა ჰკარავს პოპულარობას. ორგანიზატორებმა დროულად შეაფასეს ეს სიტუაცია და ველორბოლის ავტორიტეტის გადარჩენის მიზნით რამდენიმე რადიკალური რეფორმა ჩატარეს, რომლებსაც ველოსიპედისტები წლებგანდელ რბოლაშივე იგრძნობენ.

უმთავრესი ამ რეფორმებს შორის სამხრეთი ფონდის გაზრდა გახლავთ. ამიერიდან „ტურ დე ფრანსის“ მონაწილეები ერთმანეთში 2 მილიონ ფრანკზე მეტს გაინაწილებენ. ამ თანხაში არ შედის პრემია და საჩუქრები, რომლებსაც ველოსიპედისტები მიიღებენ საშუალოდ და სამთი ეტაპებზე გამარჯვებისთვის.

პირველი მესიკელი ჯომოლუნგმა

34 წლის ფარმაცევტი რიკარდო ტორეს ნავა პირველი მექსიკელია, რომელმაც დაიპყრო მსოფლიოს ყველაზე მაღალი მწვერვალი — ჯომოლუნგმა. მას ამ საჩუქროდ ასვლაში ეხმარებოდნენ შერბი გამოცემები, 26 წლის ფუ დორე და 30 წლის დავა ნორბუ.

მოსკოლელმა 12 საათი დასჭირდა 7 950 მეტრის სიმაღლეზე მდებარე საშუალოდ ბანაკთან მწვერვალზე ასასვლელად.

რედაქტორი თ. გაჩეჩილაძე.

თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის „შეგარდენის“ სტალიონი

4 03500
ფეხბურთი
II ლიგა
„შეგარდენი“ (თბილისი) — „ხაზარნი“ (სუმგაითი)
დასაწყისი 19 საათზე

გადავი მისამართი: წერილებისთვის — 330000, თბილისი, ლენინის ქ. 18, დეპრესიისთვის — თბილისი, „ლელო“.

კავშირის ცენტრში: წერილების განყოფილება — 99-97-55, სამდივნო — 99-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 99-97-55, „მერაზი“ — 99-97-38, „მარათე“ — 99-97-37.

63950 050000 66485

საქართველოს კ. ც. ა. ს. გამომცემლობის შრომის წინაშე დროის ორდენისანი სტამბა. 380000, თბილისი, ლენინის ქ. 18, აბეჯდება ოცნტური წესით საავიაციო კორპუსში: ზოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10875